ერთიანი აგროპროექტი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

# გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

## მიღებული შედეგები: 2014 წ. - 2018 წ.

# გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

**გრანტი**: 40 %, Max. 600,000 ლარი (60 % ზოგიერთი რეგიონისთვის) | **შეღავათიანი აგროკრედიტი**: Max. 50 % (11 %) | **ბენეფიციარის თანამონაწილეობა**: Min. 10 %

**ინვესტიციების სტრუქტურა (მლნ. ლარი), 2018 წ. ნოემბერი**




**ნედლეული, თვითღირებულება და რეალიზაცია (მლნ. ლარი), საპროგნოზო**




| დარგი | საწარმო | საპროგნოზო სამუშაო ადგილი (სეზონურის ჩათვლით) | ერთ საწარმოში სამუშაო ადგილების საშუალო რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ხილი | 17 | 401 | 24 |
| თხილი | 8 | 752 | 94 |
| რძე | 7 | 94 | 13 |
| კომბ.საკვები, ზეთი, სოკო | 3 | 122 | 41 |
| ხორცი | 3 | 53 | 18 |
| დაფნა | 2 | 50 | 25 |
| ჩაი სანელებლები | 2 | 32 | 16 |
| ღვინო | 2 | 18 | 9 |
| თევზი | 1 | 13 | 13 |
| **ჯამი** | **45** | **1,535** | **34** |

2018 წ. ნოემბრის მდგომარეობით ამუშავებულია 34 საწარმო. 45-ვე საწარმო **სრული დატვირთვით ამუშავდება 2020 წელს.**

მაჩვენებლებში **არაა გათვალისწინებული წარმოების ზრდა** და მოცემულია გაყიდვების დაგეგმილი საშუალო საპროგნოზო სიდიდეები.

**ფაქტობრივი მონაცემების** წყაროა სოფლის მეურნეობის პროექტების სააგენტოს ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაცია,
ხოლო საპროგნოზო მონაცემები აღებულია საგრანტო კონკურსზე დამტკიცებული ბიზნეს-გეგმებიდან.

ერთიანი აგროპროექტი

# გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

**გრანტი**: 40 %, Max. 600,000 ლარი (60 % ზოგიერთი რეგიონისთვის)

**შეღავათიანი აგროკრედიტი**: Max. 50 % (11 %)

**ბენეფიციარის თანამონაწილეობა**: Min. 10 %

**ინვესტიციები**

სახელმწიფოს მიერ ინვესტირებულმა **ერთმა ლარმა 2.07 ლარი ინვესტიცია მოიზიდა.**

**სამუშაო ადგილები**

45 საწარმო 1,535 ადამიანს დაასაქმებს სეზონურად დასაქმებულების ჩათვლით. მათი წლიური ანაზღაურება 6.9 მლნ. ლარი იქნება.
**ერთი ლარი გრანტი ქმნის 0.30 ლარის ოდენობით წლიურ სახელფასო თანხას.**

**ნედლეული**

45 საწარმო წლიურად 75.2 მილიონი ლარის ღირებულების ადგილობრივ ნედლეულს შეისყიდის. **სახელმწიფოს მიერ ინვესტირებული ერთი ლარი ადგილობრივ ასეულობით მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობას წლიურად 3.28 ლარის შემოსავალს მოუტანს.**

**აგროპროდუქცია**

45 საწარმო ქვეყაში დამატებით შექმნის 100 მლნ. ლარამდე სარეალიზაციო ღირებულების 16,000 ტონა აგროპროდუქციას. **1 ლარი გრანტი ქმნის ყოველწლიურად 0.70 კგ. აგროპროდუქციას.**

**დამატებული ღირებულება**

სახელმწიფოს მიერ გრანტის სახით ინვესტირებული **ერთი ლარი წლიურად 0.67 ლარის დამატებულ ღირებულებას შექმნის.**

**გადასახადები**

სხვადასხვა დაშვებით ქონების, მოგების და საშემოსავლო გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტი ბენეფიციარი საწარმოებისგან წლიურად 3.3 მლნ. ლარს მიიღებს. **სახელმწიფო გრანტის სახით გაცემული 1 ლარი ყოველწლიურად 0.14 ლარი გადასახადის გენერირებას იწვევს.**

ერთიანი აგროპროექტი